585
1989/2

ეროვნული ბიბლიოთეკა

ISSN 0203—2023

პროლეტარეტო
ყველა
ქვეყნისა,
შეერთდით!

საქართველოს
საბჭოთა
სოციალისტური
რესპუბლიკის

№ 2

1989

უმაღლესი საბჭოს
უწყებები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 2 (583) თებერვალი 1989 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

განყოფილება პირველი

23. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება გურჯაანის რაიონის სახალხო სასამართლის სახალხო მოსამართლის ამხ. მ. ნ. ლაპაშვილის ვადამდე განთავისუფლების შესახებ.

განყოფილება მეორე

24. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. ს. აბზიანიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
25. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ხ. ბ. აბრამიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
26. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ქ. ლენინაკანის ა. მრავიანის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
27. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
28. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ვ. ნ. ჩაჩავასათვის „საქართველოს სსრ სახალხო არტისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

№ 2
ეროვნული
ბიბლიოთეკა

29. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ნ. მ. ხატიაშვილისათვის „საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების სხდომები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

23 გურჯაანის რაიონის სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლის ამხ. მ. ნ. ლაპიაშვილის ვადამდე განთავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

„საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის 73-ე მუხლის შესაბამისად განთავისუფლდეს ამხ. მიხეილ ნიკოლოზის ძე **ლაპიაშვილი** გურჯაანის რაიონის სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლის მოვალეობის შესრულებისაგან პირადი განცხადების საფუძველზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე **თ. კაბულოვა.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1989 წლის 2 თებერვალი.

№ 2094—XI

განყოფილება მეორე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

24 ამხ. გ. ს. აბზიანიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. გივი სერგოს ძე **აბზიანიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე **თ. კაბულოვა.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1989 წლის 3 თებერვალი.

№ 2095—XI

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

25 **ამხ. ხ. ბ. აბრამიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

თბილისში ქ. ლენინაკანის ა. მრავიანის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის გასტროლების წარმატებით ჩატარებასთან დაკავშირებით თეატრის მთავარი რეჟისორი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ამხ. ხორენ ბაბკენის ძე აბრამიანი დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე თ. კაბულოვა.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვპრაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 22 თებერვალი.
№ 2101—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

26 **ქ. ლენინაკანის ა. მრავიანის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

თბილისში ქ. ლენინაკანის ა. მრავიანის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის გასტროლების წარმატებით ჩატარებასთან დაკავშირებით **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო** სიგელით დაჯილდოვდნენ:

გოჰარ ვანიკოს ასული **გალსტიანი** — მსახიობი.
რაფიკ გევორქის ძე **გრიგორიანი** — მსახიობი.
სამველ გიორგის ძე **სარქისიანი** — მსახიობი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე თ. კაბულოვა.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვპრაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 23 თებერვალი.
№ 2103—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

27 „საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

თანამედროვე ქართული მუსიკალური კულტურის განვითარების საქმეში წვლილისათვის **„საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის“** საპატიო წოდება მიენიჭოთ:

იოსებ იუზას ძე **ბარდანაშვილს** — კომპოზიტორს.

გიორგი ზაქარიას ძე **ჩლაიძეს** — კომპოზიტორს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე თ. კაბულოვა.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 24 თებერვალი.
№ 2104—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

28 ამხ. ვ. ნ. ჩაჩავასათვის „საქართველოს სსრ სახალხო არტისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების განვითარებისა და პოპულარიზაციის საქმეში დიდი წვლილისათვის მოსკოვის პ. ი. ჩაიკოვსკის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დოცენტს ვაჟა ნიკოლოზის ძე **ჩაჩავას** მიენიჭოს **„საქართველოს სსრ სახალხო არტისტის“** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე თ. კაბულოვა.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 24 თებერვალი.
№ 2105—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

29 **ამხ. ნ. მ. ხატიაშვილისათვის „საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ**

მედიცინის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის ი. კონიაშვილის სახელობის კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორს ამხ. ნიკოლოზ მიხეილის ძე **ხატიაშვილს** მიენიჭოს **„საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის დამსახურებული მუშაკის“** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე თ. კაბულოვა.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 24 თებერვალი.
№ 2106—XI

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების სხდომები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს შრომითი რესურსების რაციონალურად გამოყენების კომისიამ თავის სხდომაზე განიხილა საკითხი კოოპერაციისა და ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესახებ სსრ კავშირის კანონების შესასრულებლად ხაშურის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის მუშაობის თაობაზე. აღინიშნა, რომ საბჭოს აღმასკომის ხელმძღვანელობით ხაშურის რაიონში კოოპერაციული მოძრაობა სათანადოდ ვითარდება. იხელმძღვანელა რა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 5 თებერვლისა და 3 აპრილის დადგენილებებით, რაისაბჭომ მითითებული კანონების მიღებამდე, უკვე 10 აპრილს, თავისი გადაწყვეტილებით, ჩამოაყალიბა კომისია სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების, აგრეთვე საზოგადოებრივი კვებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების კოოპერატივების შესაქმნელად. ამ პერიოდში განხილული 306 განცხადებიდან დადგენილ ერთ თვეში კოოპერატივის გახსნის უფლება მიეცა 293 განმცხადებელს.

1988 წლის 1 დეკემბრისათვის ხაშურის რაიონში რეგისტრირებულია 149 კოოპერატივი, რომელშიც დასაქმებულია 541 კაცი, მათგან 95 პენსიონერი, 58 დიასახლისი, 83 დროებით უმუშევარი, 10 სტუდენტი და მოსწავლე.

ამჟამად მუშაობს 45 კოოპერატივი, რომელთა მოგება თითქმის 1,5 მლნ მანეთია. მოქმედი კოოპერატივებიდან 2 აწარმოებს სახალხო მოხმარების სა-

ქონელს, 18 ეწევა საყოფაცხოვრებო მომსახურებას; არის 6 პორის საცხობი, ამდენივე საზოგადოებრივი კვების კოოპერატივი და სხვ.

კოოპერატივების შექმნამ ხელი შეუწყო რაიონში მომსახურებათა ახალი სახეობების დანერგვას, აგრეთვე სახალხო მოხმარების საჭიროებისათვის ნაწარმის გამოშვებას.

გაიზარდა კოოპერატორების აქტიურობა აგრარულ სექტორში, კერძოდ, მსხვილფეხა რქოსანი საქონლის, ღორების, ფრინველის, თევზის მოშენებასა და სოკოს წარმოებაში, რაც მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს რაიონში სასურსათო პროგრამის გადაწყვეტას.

ვითარდება ინდივიდუალური შრომითი საქმიანობაც, რითაც დაკავებულია 231 კაცი. მათ მიერ უკვე რეალიზებული საქონლისა და გაწეული მომსახურების ღირებულება 165 ათას მანეთზე მეტს შეადგენს. ინდივიდუალური შრომითი საქმიანობით დაკავებულ პირთაგან 102 მუშა, 80 მოსამსახურე, 23 პენსიონერი და 8 დისახლისია.

ხაშურის რაიონის მოსახლეობის ყოველ 10.000 კაცზე მოდის 61 კოოპერატორი და 33 ინდივიდუალური შრომითი საქმიანობით დაკავებული პირი, მაშინ, როდესაც მთლიანად რესპუბლიკაში ეს მაჩვენებლები შესაბამისად 33-სა და 30-ს, ხოლო სსრ კავშირში 16-სა და 18 არ აღემატება.

კოოპერატორების მიერ რეალიზებული საქონლისა და გაწეული მომსახურების მოცულობამ რაიონში 1000 კაცზე გაანგარიშებით 21 ათასი მანეთი შეადგინა, რესპუბლიკაში კი მხოლოდ 19 ათასი მანეთი.

ამასთან, ხაშურის რაიონის კოოპერატივების საქმიანობაში არის გარკვეული ნაკლოვანებანი, რომლებიც გამოწვეულია მთელი რიგი ობიექტური და სუბიექტური მიზეზებით.

რეგისტრირებული კოოპერატივების საერთო რაოდენობიდან მოქმედი კოოპერატივების ხვედრითი წილი 30 პროცენტია. არის შემთხვევები, როცა კოოპერატივის რეგისტრაციის შემდეგ, მათ მიერ მუშაობის დაწყებამდე, 6 თვეზე მეტი გადის. არა აქვთ საკუთარი საბრუნავი სახსრები, ძირითადი წყაროა ბანკის სესხი, ხოლო კოოპერატივების მოგების თანხა ბანკში ჯერ-ჯერობით შეტანილი არ არის. ძირითადი ფონდებისა და საკუთარი საბრუნავი სახსრების ფორმირების მიზნით რაიონის კოოპერატორებს მიეცათ 614 ათასი მანეთის ბანკის კრედიტი, მათ შორის გრძელვადიანი კრედიტი — 402 ათასი მანეთი. ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ის, რომ თუ რაიონის კოოპერატორებზე რესპუბლიკაში ამ მიზნებისათვის გაცემული მთელი კრედიტის 0,9 პროცენტი მოდის, მათ მიერ რეალიზებული პროდუქციის მოცულობა არ აღემატება რესპუბლიკის კოოპერატივების მიერ მთელი რეალიზებული პროდუქციის 0,7 პროცენტს. ამრიგად მიუღებელია ზოგიერთი კოოპერატივის მიერ პროდუქციის უმეტესი ნაწილის არა მარტო რაიონის, არამედ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც რეალიზაციის პრაქტიკა.

როგორც წესი საზოგადოებრივი კვების კოოპერატივები მოთხოვნილებას პროდუქტებზე თავიანთი დამხმარე საწარმოო ბაზით უნდა იკმაყოფილებდნენ, მაგრამ ასეთი დამხმარე მეურნეობები, და ეს, როგორც ხაშურში, ისეთი მთელს

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკაში არსებული მსგავსი მრავალი სხვა კოოპერატივის მაგალითით ჩანს, საკმაოდ სუსტად ვითარდება.

რაიონში ჯერ კიდევ სათანადო ყურადღება არ ექცევა კოოპერაციული საქმიანობის ისეთი პერსპექტიული სახეობების განვითარებას, როგორიცაა მეორეული ნედლეულის გადამუშავება, მშენებლობა, ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებანი და სხვ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს შრომითი რესურსების რაციონალურად გამოყენების კომისიამ სათანადო რჩევა მისცა ხაშურის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომსა და შესაბამის მუდმივ კომისიას.

აღნიშნული გადაწყვეტილება დაეგზავნათ რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს სათანადო რეაგირებისათვის.

* * *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიამ განიხილა საკითხი რესპუბლიკის სამომხმარებლო კოოპერაციის მიერ საექსპორტო მიწოდების გეგმების შესრულებისა და საგარეო-სავაჭრო ბრუნვის გადიდებისათვის მიღებულ ღონისძიებათა შესახებ. საკითხთან დაკავშირებით კომისიამ საჭირო რჩევა მისცა ცეკავშირის გამგეობას, საქართველოს სსრ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის აგრობანკის საქართველოს რესპუბლიკურ აგრობანკს, საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტს, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოსა და რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს.